



ბრძანება

N 04/99

28/07/2020

99-01-4-202007281341



გადაწყვეტილება

2020 წლის 16 ივნისის №01/302 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე
უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1. მომჩივანის პოზიცია

2020 წლის 16 ივნისს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“), თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილ იქნა სს „შკოდა ტრანსპორტიშენის“ (ს/კ 62623753) და სს „შკოდა ვაგონკას“ (ს/კ 25870637) - კონსორციუმი შკოდა ტრანსპორტიშენი და შკოდა ვაგონკა - (შემდგომში „მომჩივანი“, „კონსორციუმი“) საჩივარი (რეგისტრაციის №01/302) შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) (შემდგომში „მოპასუხე“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივრის თანახმად, სს „შკოდა ტრანსპორტიშენი“ და სს „შკოდა ვაგონკა“ მონაწილეობენ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ ორგანიზებულ ორ ეტაპიან ტენდერში, რომელიც გამოცხადებულია მეტროს მატარებლის შესაძენად. პროექტს აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). შესყიდვა ხორციელდება ბანკის ელექტრონული შესყიდვების სისტემის ECEPP-ის მეშვეობით.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ პირველი ეტაპის სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2020 წლის 18 მაისი, 10:00 გაერთიანებული სამეფოს დროით. აღნიშნულ ვადაში, ოთხმა მონაწილემ, მათ შორის შკოდას კონსორციუმმა, წარადგინა პირველი ეტაპის სატენდერო განაცხადი. 2020 წლის 18 მაისს, 10:00 საათზე, ვადის ამოწურვისთანავე გაიხსნა სატენდერო განაცხადები და ტენდერის მონაწილეებმა (მათ შორის კონსორციუმაც) ავტომატურად მიიღეს ტენდერის პირველი ეტაპის გახსნის ოქმი

(Minutes of ITT (Stage 1) Opening). ოქმის თანახმად, ვადის ამოწურვამდე პირველი ეტაპის სატენდერო განაცხადი წარადგინა ოთხმა მონაწილემ. ოქმის შესავალშიც მითითებულია „მიღებული განაცხადების რაოდენობა 4“.

მომჩივანის განცხადებით, ორი დღის შემდეგ, კერძოდ 2020 წლის 20 მაისს, კონსორციუმმა მიიღო პირველი ეტაპის შეცვლილი გახსნის ოქმი („შეცვლილი ოქმი“), სადაც კონსორციუმი „შტადლერი“ დაემატა, როგორც მეხუთე მონაწილე.

შეცვლილი ოქმის თანახმად, შტადლერის სატენდერო განაცხადი მიღებულ იქნა 2020 წლის 17 მაისს, ზუსტად 11:00:00 საათზე. შეცვლილ ოქმში მითითებულია, რომ „ტექნიკური ხარვეზის გამო, CJSC Stadler Minsk-ის და Stadler Bussnang AG-გან შედგენილი კონსორციუმი „შტადლერი“ გამოტოვებული იქნა პირვანდელ გახსნის ოქმში სისტემის მიერ და ახლა გიგზავნით შეცვლილ პირველ ეტაპის გახსნის ოქმს“. მომჩივანი აღნიშნავს, რომ შეცვლილი ოქმის შესავალი კვლავ მიუთითებს, რომ ტენდერში მონაწილე პირთა რაოდენობა შეადგენს ოთხს.

მომჩივანის განმარტებით, „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი.

ტენდერის მონაწილეთა ინსტრუქციის (ITP) 1.1. მუხლის თანახმად, შესყიდვა ტარდება EBRD-ის შესყიდვების პოლიტიკისა და წესების („წესები“) 2017 წლის ნოემბრის რედაქციის შესაბამისად. წესების 2.9 მუხლის თანახმად, კლიენტს (შემსყიდველს), ისევე როგორც მონაწილეებს, მიმწოდებლებს, კონტრაქტორებს და ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების კონსულტანტებს, მათ შორის ნებისმიერ ქვე-მიმწოდებელს, ქვეკონტრაქტორს მოეთხოვებათ დაიცვან გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტი შესყიდვის განხორციელების, ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცესში. გარდა ამისა, ღია ტენდერის პროცედურები იმგვარად უნდა ჩატარდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სატენდერო განაცხადის წარდგენის თანაბარი შესაძლებლობები (წესების 3.8 მუხლი).

მომჩივანის განმარტებით, წესების 3.26 მუხლი ადგენს, რომ ღია და გამარტივებული ტენდერის პროცედურების ფარგლებში სატენდერო განაცხადები მიღებულ და გახსნილ უნდა იქნას იმგვარი პროცედურის და პირობების დაცვით, რომ გარანტირებული იყოს ტენდერის გახსნის მართლზომიერება და გახსნის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სატენდერო განაცხადები უნდა გაიხსნას მონაწილეთა ან მათი წარმომადგენლების თანდასწრებით. თუ გამოყენებულია ელექტრონული ტენდერის პლატფორმა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ისეთივე გამჭვირვალობის დონე, როგორსაც ეს მუხლი ითვალისწინებს. კლიენტმა უნდა შეინახოს ტენდერის გახსნის მთლიანი ჩანაწერი, რომლის ასლიც ბანკისთვის უნდა იქნას მიწოდებული გახსნისთანავე. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მიღებული სატენდერო განაცხადები უნდა დაუბრუნდეს მონაწილეს გაუხსნელი სახით. დამატებით, ინსტრუქციის 19.1 მუხლის

თანახმად, კლიენტმა არ უნდა განიხილოს პირველი ეტაპის სატენდერო განაცხადი, რომელიც წარდგენილ იქნა განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ სპეციფიკაციის (data sheet) 18.1 მუხლის თანახმად, მონაწილეებს სატენდერო განაცხადები უნდა წარედგინათ მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ელექტრონული ტენდერის პლატფორმის („ECEPP“) მეშვეობით. მონაწილეებს არ შეეძლოთ განაცხადების ხელით ან ელფოსტით შეტანა. ოქმის თანახმად, მხოლოდ ოთხმა მონაწილემ წარადგინა სატენდერო განაცხადი 2020 წლის 18 მაისამდე. ზემოაღნიშნული წესების თანახმად, ვადის ამოწურვის შემდეგ სხვა მონაწილეებს არ ჰქონდათ განაცხადის წარდგენის უფლება. შესაბამისად, ტენდერის ეს ეტაპი დასრულდა სატენდერო დოკუმენტების და წესების მოთხოვნების შესაბამისად.

მომჩივანი განმარტავს, რომ ვინაიდან შემსყიდველმა პირველი ეტაპის განაცხადების მისაღებად გამოიყენა ECEPP პლატფორმა, იგი ვალდებული იყო უზრუნველყო „თანაბარი დონის გამჭვირვალობა“ ისევე როგორც ეს იქნებოდა ფიზიკურად, მონაწილეების თანდასწრებით ჩატარებული ტენდერის შემთხვევაში. გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტი მხოლოდ მაშინ იქნებოდა დაცული, თუ ტენდერის გახსნა მოხდებოდა ავტომატურად და დაუყოვნებლივ, დახურვის მომენტისთანავე. სხვაგვარად, ტენდერის პროცედურების გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მომჩივანი განმარტავს, რომ წინამდებარე საქმეზე გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტიც (დაუყოვნებლივი და ავტომატური შეტყობინება) არ არის დაცული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ავტომატურად, პროგრამის მიერ გენერირებულ ოქმში „შტადლერი“ ნახსენები არ იყო, ჩნდება კითხვა, „შტადლერმა“ ვადის დაცვით შეიტანა სატენდერო განაცხადი, თუ იგი შემდგომ, ხელოვნურად იქნა დამატებული. მომჩივანის განცხადებით, მხოლოდ აღნიშნული ფაქტი საკმარისია იმის დასადგენად, რომ ტენდერის გამჭვირვალობა არ არის უზრუნველყოფილი.

მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეცვლილი ოქმის თანახმად, „შტადლერმა“ პირველი ტენდერის განაცხადი თითქოსდა წარადგინა 2020 წლის 17 მაისს, ზუსტად 11:00:00 საათზე. მათი განცხადებით, ნეიტრალური დამკვირვებლის პერსპექტივიდან, განაცხადის წარდგენის მითითებული დრო აღიქმება, როგორც ხელოვნური და სიმართლისათვის შეუსაბამო. გარდა ამისა, თუ „შტადლერის“ განაცხადი მართლაც იქნა წარდგენილი 17 მაისს 11:00:00 საათზე, ეს იქნებოდა დადასტურებული ECEPP-ის მიერ ისევე როგორც სხვა მონაწილეთა შემთხვევაში. ალბათობა, რომ ECEPP-მა აღიქვა ოთხი განაცხადი, მომჩივანის მოსაზრებით არის ნულთან მიახლოებული. ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, მომჩივანი მიიჩნევს, რომ „შტადლერს“ არ წარუდგენია პირველი ეტაპის სატენდერო განაცხადი დადგენილ ვადაში და იგი მოგვიანებით იქნა ხელოვნურად, წესების უხეში დარღვევით დამატებული.

მომჩივანი აცხადებს, რომ შემსყიდველის მიერ ავტომატურად გაგზავნილი ოქმების უგულებელყოფა და ოქმის ხელოვნურად დაკორექტირება აძლევს მას უფლებას, მოახდინოს თავისუფალი და თანასწორი ტენდერის სრული იგნორირება და მისთვის სასურველი მონაწილე შეარჩიოს იმგვარი უპირატესობის მინიჭების გზით, რომელიც

ზემოთ იქნა აღწერილი. ამდენად, მნიშვნელოვანია, პრეცედენტის სახით არ იქნას დაშვებული ოქმის ხელოვნურად დაკორექტირების შესაძლებლობა, რაც სრულად გაუმჭვირვალეს ხდის სისტემას და შემსყიდველს ყველა დადგენილი მოთხოვნის უგულვებელყოფის შესაძლებლობას აძლევს.

მომჩივანი განმარტავს, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანია ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1(4) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული შესყიდვა რეგულირდება EBRD-ის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, აღნიშნულ წესებზე მითითებით, კანონმდებელმა წესები აქცია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად, იმდენად რამდენადაც დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვა ამ წესების დაცვით უნდა განხორციელდეს. წესების დარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას. გარდა ამისა, შესყიდვა ხორციელდება სესხის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფო სახსრებიდან უნდა დაბრუნდეს. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აღნიშნული შესყიდვის კონტროლი, მათ შორის, კონკურენციის სააგენტომ უნდა უზრუნველყოს შესყიდვის პროცესში თავისუფალი და თანასწორი კონკურენციის პირობების დაცვა.

მომჩივანის განცხადებით, გარდა იმისა, რომ მოპასუხე არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია, იგი დაფინანსებას იღებს ბიუჯეტიდან.

მომჩივანი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ EBRD-ის შესაბამისი წესების დარღვევით, მოპასუხემ ერთ-ერთ ეკონომიკურ აგენტს მიანიჭა არაკეთილსინდისიერი და უსაფუძვლო შეღავათი/უპირატესობა. დარღვევა წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვას, ერთ-ერთი მონაწილისათვის უსამართლო და უკანონო შეღავათის/უპირატესობის მინიჭების გზით, აღნიშნული კი ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტს და მე-2 მუხლით დადგენილ თავისუფალი კონკურენციისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

მომჩივანის განცხადებით, მოპასუხის მსგავსი მოქმედებით ზიანი მიადგა კონსორციუმს, ვინაიდან მას უკანონოდ, სატენდერო დოკუმენტების და წესების დარღვევით, ხელოვნურად გაუჩნდა დამატებითი კონკურენტი. ამით, აღნიშნულმა პირმა მოიპოვა არაკეთილსინდისიერი და უკანონო უპირატესობა. გარდა ამისა, მითითებულ დარღვევაზე რეაგირების გარეშე ტენდერის გაგრძელების შემთხვევაში კონსორციუმს მიადგება როგორც ფაქტობრივი ზიანი, ისე დიდი ოდენობით მიუღებელი შემოსავალი.

1.2. მოპასუხის პოზიცია

საჩივარი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, 2020 წლის 18 ივნისის №02/419 წერილით გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“. 2020 წლის 23 ივნისს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ წერილობით (რეგ. №01/313) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს.

მოპასუხის განცხადებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური

რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, ხოლო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თბილისის მერიის 100%-იან მფლობელობაში იმყოფება და თბილისის მერიის, როგორც პარტნიორის მიმართ ანგარიშვალდებულება გარკვეულწილად, იგი არის მოგებაზე ორიენტირებული კერძო, ბიზნეს სუბიექტი და განხორციელებული საქმიანობიდან იღებს შემოსავალს. შესაბამისად, მოპასუხეს მიაჩნია, რომ როგორც კერძო სუბიექტი, არ შეიძლება გათანაბრებულ იქნას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან, ამდენად, არ არსებობს სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყებისათვის შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხე განმარტავს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტანდარტული შესყიდვების დოკუმენტის, ტენდერის მონაწილეთა ინსტრუქციის (ITP) 1.1. მუხლის თანახმად, შესყიდვები ხორციელდება ბანკის შესყიდვების პოლიტიკისა და წესების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, მეტროს მოძრავი შემადგენლობის შესყიდვა ხორციელდება სწორედ EBRD-ის შესყიდვის წესების თანახმად. ტენდერის მონაწილეთა ინსტრუქციის 48.1 მუხლი უთითებს იმ წესებზე და პროცედურებზე, რაც მხარეებმა უნდა დააკმაყოფილონ შესყიდვასთან დაკავშირებული ფორმალური საჩივრის წარდგენის დროს.

მოპასუხე მიუთითებს, რომ საჩივრის განხილვის პროცედურები ასევე განსაზღვრულია შესყიდვების საჩივრების განხილვის დირექტივით (Procurement Complaints Review Directive 1st June 2019). დირექტივის მე-4 ნაწილის 3.4 პუნქტი უთითებს საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე. კერძოდ, მხარეს მოთხოვნილი უნდა ჰქონდეს შესყიდვის შედეგების გადახედვა.

ბანკის შესყიდვების პოლიტიკისა და წესების 2.10 მუხლის თანახმად, ტენდერის მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს შედეგების გადახედვა, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს ბანკი, თუმცა აღნიშნული პროცედურის მოთხოვნა შესყიდვების შედეგების გადახედვის სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილის 3.1 პუნქტის თანახმად, შეუძლია მხოლოდ გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც მონაწილეს ოფიციალურად ეთქვა უარი ტენდერის შემდეგ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით.

დირექტივის მე-4 ნაწილის 3.5. პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც მხარე გაივლის შედეგების გადახედვის ეტაპს, მას შეუძლია ბანკს წარუდგინოს შესაბამისი ფორმით შევსებული საჩივარი, რომელსაც განიხილავს EBRD-ის შესყიდვების პოლიტიკისა და

მრჩეველთა დეპარტამენტი (PPAD). შესაბამისად, EBRD-ის ელექტრონულ შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფორმალური საჩივრის წარდგენა და განხილვა ხდება ბანკის მიერ, მითითებული აქტებისა და პროცედურების დაცვით.

მოპასუხის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „შკოდა ტრანსპორტიშენისა“ და სს „შკოდა ვაგონკას“ საჩივარი (№01/302), ვერ აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ, მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, რაც საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

1.3. მომჩივანის მიერ დამატებით წარმოდგენილი პოზიცია

საჩივართან დაკავშირებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ პოზიცია, სააგენტოს 2020 წლის 24 ივნისის №02/421 წერილით გადაეგზავნა მომჩივანის წარმომადგენლებს, რომელთაც, 2020 წლის 1-ლი ივლისის 01/329 წერილით სააგენტოს წარუდგინეს დამატებითი პოზიცია. წერილში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

თბილისის სატრანსპორტო კომპანია, როგორც „კერძო სუბიექტი“

მომჩივანის განცხადებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ არის ფაქტობრივად ადგილობრივი თვითმმართველობის, თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ორგანო, რომელიც იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას, ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას და სახელმწიფო შესყიდვებს წარმართავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, იგი არ წარმოადგენს „მოგებაზე ორიენტირებულ კერძო, ბიზნეს სუბიექტს“ კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის. მოპასუხეს გააჩნია ისეთივე საჯარო ძალაუფლება და ანგარიშვალდებულება, როგორც მუნიციპალიტეტის ნებისმიერ სამსახურს ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო კომპანიაზე ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონმდებლობა, საკმარისია იმის დასადგენად, რომ მოპასუხე არის ადგილობრივი თვითმმართველობის ნაწილი და არა სხვა ნებისმიერი ბიზნესის მსგავსი, მოგებაზე ორიენტირებული საწარმო. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვის დროს არ მიანიჭოს დაუმსახურებელი და არაკეთილსინდისიერი უპირატესობა/შელავათი რომელიმე ეკონომიკურ აგენტს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7 და მე-12 მუხლები

მომჩივანის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ პოზიცია არის სწორი და იგი არის არა ადგილობრივი თვითმმართველობის ნაწილი, არამედ ჩვეულებრივი ეკონომიკური აგენტი, ასეთ შემთხვევაში მაინც არსებობს მოკვლევის დაწყების საფუძველი წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

მომჩივანის განმარტებით, მოპასუხე ვერ უარყოფს, რომ სადავო შესყიდვასთან დაკავშირებით მას გააჩნია სახელმწიფოს მიერ მინიჭებული მონოპოლიური/დომინირებული მდგომარეობა. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ მოპასუხე არის საქართველოში მიწისქვეშა ტრანსპორტის - მეტროს ერთადერთი მფლობელი. საქართველოში არ არსებობს სხვა პირი, რომელიც მეტროს მატარებლების შესყიდვას განახორციელებდა. შესაბამისად, მომჩივანის მტკიცებით, ბაზრის 100%-ზე მონოპოლია გააჩნია მოპასუხეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანის განცხადებით, თუ გაზიარებულ იქნება მოპასუხის პოზიცია, რომ მასზე არ ვრცელდება კანონის მე-10 მუხლი, ასეთ შემთხვევაში, მასზე როგორც კერძო სუბიექტზე, რომელსაც გააჩნია ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა, გავრცელდება კანონის მე-6 და მე-7 მუხლები.

მომჩივანი განმარტავს, რომ მის მიერ საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები (ტენდერის წესების უხეში დარღვევით, ტენდერის გახსნის ოქმის ხელოვნურად შეცვლა) მიუთითებს მოპასუხის მიერ შესყიდვის იმგვარად განხორციელებაზე, რომ ერთ-ერთ სუბიექტს („შტადლერს“) მიენიჭა უკანონო უპირატესობა. ამავდროულად, დანარჩენ მონაწილეებს მსგავსი მოქმედებით ეზღუდებათ თავისუფალ და თანასწორ კონკურენციაში შესვლის გზით მათი პროდუქტების/მომსახურების რეალიზაციის შესაძლებლობა.

მომჩივანის პოზიციით, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე არის კერძო სუბიექტი, ასეთ შემთხვევაში მოკვლევა უნდა დაიწყოს არა მე-10 მუხლის დარღვევაზე, არამედ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევაზე, რადგან, ტენდერში მონაწილეთა ნაწილზე მოპასუხემ გაავრცელა კონკრეტული წესები და ვადები, ხოლო „შტადლერისათვის“ განაცხადის წარდგენა ვადის დარღვევითაც გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც ყველა სხვა მონაწილის განცხადება უკვე ცნობილი იყო მოპასუხისათვის. გარდა ამისა, მომჩივანის შეფასებით, კანონი არ განსაზღვრავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახეებს ამომწურავად, შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია დაადგინოს დარღვევის ფაქტი, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ჩათვლის, რომ სახეზე არ არის 6(2) პუნქტის ა-დ ქვეპუნქტებით დადგენილი რომელიმე კონკრეტული ტიპის დარღვევა.

მომჩივანის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე არ მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტად (რაც დაუსაბუთებელი იქნებოდა), სახეზე იქნება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის დარღვევა. აგრეთვე, არსებობს ყველა საფუძველი ჩაითვალოს, რომ სახეზეა მე-7 მუხლის „ვ“ პუნქტის დარღვევა.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ შესაძლოა სახეზე იყოს კანონის მე-12 მუხლის დარღვევაც. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ტ“ პუნქტის თანახმად, მოპასუხე წარმოადგენს სახელმწიფო დამხარების გამცემს, ხოლო კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

მომჩივანის განმარტებით, კანონის თანახმად, აკრძალულია კონკურენციის შეფერხების საშიშროების შექმნაც კი. განსახილველ შემთხვევაში, კი, ნათელია, რომ

შეიზღუდა კონკურენცია ერთი კონკრეტული სუბიექტისთვის აშკარად კანონსაწინააღმდეგო უპირატესობის მინიჭების გზით.

EBRD-ის გასაჩივრების მექანიზმები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სადავო შესყიდვა რეგულირდება EBRD-ის წესებით. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს, რომ კანონმდებელი გამორიცხავს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში რეაგირებას. კანონი უთითებს იმ წესებზე, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შესყიდვა. ამ გზით, EBRD-ის გამოსაყენებელი წესები ხდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. კერძოდ, თუ დაირღვევა წესები, ეს ნიშნავს, რომ დაირღვა „შესყიდვების შესახებ“ კანონის 1(4) პუნქტიც.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ გამორიცხავს „კონკურენციის შესახებ“ კანონის მოქმედებას საჯარო შესყიდვების განხორციელებისას. მეტიც, მსგავსი გამორიცხვა არაკონსტიტუციური იქნებოდა, ვინაიდან საქმე შეეხება სახელმწიფო მონოპოლიის მფლობელი პირის მიერ გადასახადის გადამხდელთა ფულით შესასყიდ ქონებას. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და უზრუნველყოს, რომ შესყიდვის დროს არ ირღვევა თავისუფალი კონკურენციის პრინციპი და ერთ-ერთ სუბიექტს არ ენიჭება უსაფუძვლო და უკანონო უპირატესობა.

რაც შეეხება EBRD-ის გასაჩივრების პროცედურას, რაზეც მიუთითებს მოპასუხე, მომჩივანი აცხადებს, რომ მან წესებით დადგინილ ვადებში და წესით შეიტანა როგორც Request for Briefing (განმარტების მოთხოვნა), ასევე Request for the Bank to Arrange Briefing (მოთხოვნა ბანკისთვის, რომ უზრუნველყოს განმარტება) და საჩივარი.

მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ EBRD-მა დაადასტურა წესების დარღვევის ფაქტი და განაცხადა, რომ სატრანსპორტო კომპანიამ EBRD-თან შეთანხმებით შექმნა ხელოვნურად რედაქტირებული ოქმი, რაც ადასტურებს მოპასუხის მიერ გამოსაყენებელი წესების დარღვევას. მომჩივანის პოზიციით, EBRD-ის მიერ არ არის უზრუნველყოფილი ელემენტარული კონტროლის და ანგარიშვალდებულების მექანიზმი, ვინაიდან EBRD-ში წარდგენილ საჩივარს განიხილავს იგივე პირი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოქმი ხელოვნურად იქნა რედაქტირებული, იგი ამ საკითხს ამოწურულად მიიჩნევს. არც ბანკმა და არც მოპასუხემ, არაერთი თხოვნის მიუხედავად, მომჩივანს არ მიაწოდა „შტადლერის“ მიერ სატენდერო განაცხადის დროულად შეტანის ან/და ტექნიკური ხარვეზის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს მოპასუხის არგუმენტზე, რომლის თანახმად, „შკოდას“ არ აქვს განმარტების მოთხოვნის და საჩივრის წარდგენის უფლება, რადგან გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუ მხარე უთითებს, რომ სადავო საკითხის/ოქმის გასაჩივრების მექანიზმი EBRD-ში არ არსებობს, გაუგებარია, როგორ აცხადებს, რომ EBRD-მა უნდა განიხილოს შესყიდვასთან დაკავშირებული საჩივრები.

მომჩივანი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ მოკვლევაზე უარის თქმის არავითარი კანონიერი წინაპირობა არ არსებობს. შპს

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი არ გამორიცხავს მოკვლევის დაწყებას. კერძოდ, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე კერძო სუბიექტია, მან უნდა დაიწყოს მოკვლევა მომჩივნის მიერ მითითებული მუხლების დარღვევის ფაქტზე.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

(ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ

ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა დაიწყოს. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამის მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში (შესაძლებელია ამ ვადის 15 დღით გაგრძელება). აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სააგენტოს შეფასება

3.1. მოპასუხედ დასახელებული მხარე, როგორც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი და გონივრული ექვის სტანდარტი

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა კონკურენციის სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადების/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ექვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვა სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში არაა, მისი შინაარსობრივი ანალიზი არ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე. სააგენტო აღნიშნავს, რომ საჩივარში საუბარია კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა შემდეგი:

ა) სახეზე უნდა იყოს ქმედების განმახორციელებელი სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ბ) უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ექვის სტანდარტი.

ა) მოპასუხედ დასახელებული მხარის, როგორც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტის შეფასება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აქედან გამომდინარე, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რამდენად ექცევა მოპასუხედ დასახელებული მხარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკანონმდებლო დეფინიციის მიხედვით.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნტის თანახმად, სახელმწიფო ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხსენებული დებულება, როგორც წესი, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს

ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მოცემული ჩანაწერი არ არის დეკლარაციული ხასიათის და იგი მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომელიც განცხადებული და განმტკიცებულია კონსტიტუციის პრეამბულით¹.

ნათელია, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ არ მიეკუთვნება არც საკანონმდებლო და არც სასამართლო ხელისუფლებას. ამდენად, განმარტებას საჭიროებს საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მოპასუხე აღმასრულებელი ხელისუფლების/სახელმწიფო მმართველობის ორგანოდ.

აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს მთავრობა, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე². მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულების მეშვეობით³. ამასთან, დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა⁴.

მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, კანონის საფუძველზე იქმნება სამინისტრო⁵. ამასთან, თუ კანონით ან მთავრობის დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხოლოდ სამინისტროა უფლებამოსილი განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის კონტროლი⁶. საჯარო სამართლის იურიდიული პირი კი, არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II სამოტივაციო ნაწილი, პარაგრაფი 6. გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1141>

² „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.

³ იქვე, მუხლი 4 (1)

⁴ იქვე, მუხლი 4 (2)

⁵ იქვე, მუხლი 14 (1)

⁶ იქვე, მუხლი 18 (4)

მმართველობის ორგანოსგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას⁷.

ეროვნული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილი პრაქტიკის⁸ შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი.

მომჩივანის განცხადებით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1(4) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული შესყიდვა რეგულირდება EBRD-ის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, აღნიშნულ წესებზე მითითებით, კანონმდებელმა წესები აქცია საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად, იმდენად რამდენადაც დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვა ამ წესების დაცვით უნდა განხორციელდეს. წესების დარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას. გარდა ამისა, შესყიდვა ხორციელდება სესხის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფო სახსრებიდან უნდა დაბრუნდეს. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აღნიშნული შესყიდვის კონტროლი, მათ შორის კონკურენციის სააგენტომ უნდა უზრუნველყოს მიერ შესყიდვის პროცესში თავისუფალი და თანასწორი კონკურენციის პირობების დაცვა.

ამ შემთხვევაში, არსებითია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო“ და „ადმინისტრაციული ორგანო“. ამ სხვაობას კონკურენციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი (ასეთი ორგანოს მიერ ჩადენილი ქმედება შესაძლებელია შესწავლილ იქნეს კონკურენციის სააგენტოს მიერ), ხოლო, ზოგადად ყველა ადმინისტრაციული ორგანო - არა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლომ, №ბს-381-370 (კ-13) საქმეზე, 2014 წლის 21 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში, განმარტა, თუ რას გულისხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განმარტებული „ადმინისტრაციული ორგანო“. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როდესაც ეს სუბიექტები ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით. არსებითი არ არის ხელისუფლების რომელი შტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ესა თუ ის ორგანო, არამედ მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ფუნქციის განხორციელება

⁷ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸ იხილეთ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 სექტემბრის №168 ბრძანებით და 2017 წლის 05 სექტემბრის №04/248 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები.

გულისხმობს საქმიანობას, რომელიც არ არის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საეკლესიო საქმიანობა, კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება როგორც კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები, ასევე საწარმოები (მაგ. შპს, სს), კერძო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს დელეგირებით ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა კანონის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით, თუ იგი მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას. სწორედ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კერძო სამართლის იურიდიული პირები განიხილებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და ამ დროს არიან ვალდებული მიიღონ გადაწყვეტილებები ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით⁹.

ნათელია, რომ სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (რომელთაც სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემაში აერთიანებს), „ნებისმიერი სხვა პირისგან“, რომელშიც ერთიანდებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ ასევე იგულისხმება კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები და საწარმოები (მაგ. შპს, სს). საბოლოოდ, კი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, „სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები“ და „ნებისმიერი სხვა პირები“ „ადმინისტრაციული ორგანოს“ ცნებაში ერთიანდებიან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შესაძლებელია წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ ორგანოს, როდესაც ის ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებებს, თუმცა, კომპანია ვერ იქნება მიჩნეული კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად - სახელმწიფო მმართველობის ორგანოდ.

⁹ ალექო ნაჭყებია „ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014)“, 2015, გვ. 5

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ კონკურენციის სააგენტოს გააჩნია დადგენილი პრაქტიკა¹⁰, რომლის თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ქმედებები არ არის მიჩნეული კანონის მე-10 მუხლის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ წარმოადგენენ ამ მუხლის სპეციალურ სუბიექტებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სააგენტომ ერთ-ერთი საქმის ფარგლებში იმსჯელა უშუალოდ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე“, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტზე. კერძოდ:

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 13 ნოემბრის №04/303 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ არ არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი. სააგენტომ განმარტა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანია მართალია წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იან მფლობელობაში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, თუმცა, ფუნქციური თვალსაზრისით, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის, ხოლო მეორე მხრივ, მისი მმართველი პარტნიორის საქმიანობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს. რაც შეეხება მისი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“, მიუხედავად სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გარკვეული ელემენტებისა, კომპანია მაინც კერძო სამართლის სუბიექტია, რომელიც საკუთარი საქმიანობიდან იღებს შესაბამის შემოსავალს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი სუბიექტია, მის დაქვემდებარებაში მყოფი კერძო კომპანია - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ - ასეთად ვერ იქნება მიჩნეული, შესაბამისად, ვერ შეფასდება კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის საკითხიც.¹¹

¹⁰ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის №245 ბრძანებით, 2017 წლის 13 ნოემბრის №04/303 ბრძანებით და 2018 წლის 23 იანვრის №04/11 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები.

¹¹ **შენიშვნა:** საქართველოს პარლამენტში წარდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. სხვა ცვლილებებთან ერთად, რომელიც მიმართულია კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესების, კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის აღსრულების მიმართულებით კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ, ცვლილება შედის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში. ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკრძალებათ კონკურენციის შეზღუდვა. ხსენებული საკანონმდებლო სიახლე შესაძლებლობას მისცემს კონკურენციის სააგენტოს, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ფარგლებში შეისწავლოს მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ცალსახად არ მიეკუთვნება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 კარით მოწესრიგებულია მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და მათ უფლებამოსილებთან დაკავშირებული საკითხები. კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოებია:

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო: კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირია: მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.
- მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ვერ ჩაითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდ.

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტი

იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მომჩივანის მიერ მოპასუხედ დასახელებული კომპანია - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ არ არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი, კონკურენციის სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს კომპანიის ქმედება ამ მუხლის ჭრილში. ამდენად, სააგენტოს არ მიაჩნია საჭიროდ გონივრული ეჭვის სტანდარტზე დამატებითი მსჯელობა.

3.2. პროცედურული დარღვევის შესწავლა, როგორც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება

საჩივრის და დამატებით წარმოდგენილი წერილის შინაარსიდან გამომდინარე, მომჩივანი ამტკიცებს, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ დაარღვია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დადგენილი შესყიდვის წესები, შესყიდვის პროცესში ხელოვნურად ჩართო რა „შტადლერი“. მომჩივნის განცხადებით, ეს დარღვევა წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვას.

სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს, ტენდერის მონაწილეებს შორის „შტადლერის“ დამატება რამდენად იყო ტექნიკური ხარვეზის მიზნით გამოწვეული, ამით რამდენად დაირღვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, შესყიდვებთან დაკავშირებით დადგენილი წესები და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი, სააგენტომ იმსჯელოს, შეზღუდა თუ არა კონკურენცია ამ პროცედურულმა დარღვევამ.

ამ საკითხთან მიმართებით, გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება იმ საკითხის შეფასება, იყო თუ არა სახეზე ტექნიკური ხარვეზი და EBRD-ის ჰქონდა თუ არა უფლება, მიეთითებინა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ ხელით შეესწორებინა ოქმი, რადგან უშუალოდ ტენდერის პროცედურული წესების დარღვევის ფაქტის დადგენა/არ დადგენა შედის იმ ორგანოს უფლებამოსილებაში, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ ამ სპეციალური პროცედურული წესების შესრულების კონტროლზე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - EBRD).

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ კანონის მოთხოვნების და შესაბამისი პირების მიერ პროცედურული საკითხების დარღვევის დადგენილი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, საკითხის კონკურენციის კანონის კუთხით შესწავლა, ცხადია განუყოფელია კონკურენციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისგან. თუმცა, კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას სცილდება ისეთი მოკვლევის წარმოება, რომლის პირველადი, ძირითადი მიზანია იმის დადგენა, ჩატარდა თუ არა შესყიდვა (პირველი ეტაპი) პროცედურული წესების დაცვით.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როგორც საქმის მასალებიდან ხდება ცნობილი¹², ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმაც უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება შესყიდვებთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე.

¹² შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 2020 წლის 23 ივნისის №01/2593 წერილი (კონკურენციის სააგენტოში რეგისტრაციის № 01/313; თარიღი 23.06.2020); სს „შკოდა ტრანსპორტიშენის“ და სს „შკოდა ვაგონკას“ წარმომადგენლების 2020 წლის 01 ივლისის №01/329 წერილი.

3.3. მოპასუხის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7 და მე-12 მუხლების შესაძლო დარღვევა

კონკურენციის სააგენტოში 2020 წლის 01 ივლისს წარმოდგენილ №01/329 წერილში, მომჩივანი მსჯელობს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7 და მე-12 მუხლების შესაძლო დარღვევაზე.

აღსანიშნავია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისგან განსხვავებით, მე-6 (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-7 მუხლები (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) წარმოადგენს ექს-პოსტ რეგულირების სახეს, მათ შემადგენლობაში მოცემულია ე.წ. სამართალდარღვევები და მათი დადგენა ხდება საქმის მოკვლევის გზით.

ამ საკითხთან მიმართებით, გასათვალისწინებელია, რომ მომჩივანი სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში აპელირებს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და მას, როგორც მტკიცების ტვირთის მქონე მხარეს, შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი აქვს სწორედ ამ მუხლის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მომჩივანი მხარის მიერ დამატებითი პოზიციის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მე-6 ან/და მე-7 მუხლების დარღვევის ფაქტს, არ წარმოადგენს საჩივრის დაზუსტებას, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონის მე-6 და მე-7 მუხლები ორ სხვადასხვა სამართალდარღვევას წამოადგენს - მე-6 მუხლის ფარგლებში ხდება დომინანტი კომპანიის ცალმხრივი ქცევის შესწავლა, ხოლო, მე-7 მუხლი მიემართება ეკონომიკური აგენტების ორმხრივ ან მრავალმხრივ ქცევას. თავის მხრივ, მომჩივანი არ ასახელებს, თუ რაში გამოიხატება კანონის მე-6 ან მე-7 მუხლის დარღვევა, ვინ არიან შეთანხმების მხარეები (მე-7 მუხლის ნაწილში) და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა მოახდინოს სააგენტომ საკითხზე შემდგომი მსჯელობა.

რაც შეეხება კანონის მე-12 მუხლს - სახელმწიფო დახმარებას - ეს არის ექს-ანტე რეგულირების სახე და იმის განსასაზღვრად, არის თუ არა სახეზე სახელმწიფო დახმარება, აქვს თუ არა სახელმწიფო დახმარების გამცემს სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე მისი ამა თუ იმ პირზე გაცემის უფლება ან/და ზღუდავს თუ არა კონკურენციას გაცემული სახელმწიფო დახმარება, ექვემდებარება შესწავლას სპეციალური წარმოების შედეგად და ამ საკითხების შეფასებისთვის ადმინისტრაციული წარმოების ფორმას არ წარმოადგენს საქმის მოკვლევა.¹³ ამდენად, სააგენტო მოკვლულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ამ სპეციალურ ნორმაზე კანონდარღვევის თაობაზე საჩივრის დასაშვებობის შემოწმების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

ცხადია, მომჩივანს შესაძლებლობა აქვს, მისი შეხედულების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს, დადგენილი ფორმით, ასევე ახლად აღმოჩენილი ან/და

¹³ იგივე. „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის N529 დადგენილება.

გამოვლენილი გარემოებების შემთხვევაში, განსახილველად წარუდგინოს საჩივარი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 ან მე-7 დარღვევის თაობაზე. წინამდებარე წარმოების ფარგლებში კი, კონკურენციის სააგენტოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამ მუხლებზე დამატებითი მსჯელობა, რადგან საჩივარი, შესაბამისი სტანდარტების დაცვით, წარმოდგენილია მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში. ხოლო, მე-6 და მე-7 მუხლის თაობაზე მომჩივანის მიერ გამოთქმული პოზიცია არ არის დასაბუთებული და არ წარმოადგენს საჩივრის დაზუსტებას.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უარს ამბობს განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სწორედ ეს გარემოება, კერძოდ, არ არსებობს სააგენტოს მიერ მოკვლევის დაწყებისათვის შესაბამისი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს და მის საფუძველზე მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-12 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. სს „შკოდა ტრანსპორტიშენის“ (ს/კ 62623753) და სს „შკოდა ვაგონკას“ (ს/კ 25870637) - კონსორციუმი შკოდა ტრანსპორტიშენი და შკოდა ვაგონკა - 2020 წლის 16 ივნისის №01/302 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

